



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 21

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი  
29.03.2024

21-06-4-202403291648



გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის მთვარისა  
ხარძიანისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის №49 დადგენილებისა და საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის 2024 წლის 5 მარტის №03-04 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

**მუხლი 1**

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - მთვარისა ხარძიანის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1000 (ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - შალვა აკოფაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 500 (ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

**მუხლი 2**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღლო ანგარიშწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

მთვარისა ხარძიანი - 1000 (ათასი) ლარი, 3/5

შალვა აკოფაშვილი - 500 (ხუთასი) ლარი, 3/5

### **მუხლი 3**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

### **მუხლი 4**

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

